

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, თამაზ სოსელიას

ანგარიში

31 ოქტომბერი 2016 წელი

ანგარიში მოიცავს 2015 წლის 30 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

საკრებულოს წევრის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული მაქვს 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში 4-დადგენილებისა და 17 განკარგულების, 2016 წელს- 29 დადგენილებისა და 70 განკარგულების პროექტის განხილვაში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ვიყავი 2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის 27 ივლისამდე.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოსული იყო 5 განცხადება. მოქალაქეები ითხოვდნენ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას.

- 1) გოჩა ბარქაია - 9აპრილის №15 მაღაზიის მომიჯნავედ- 81,3 კვ.მ და 15,6 კვ.მ მიწის ნაკვეთი.
- 2) დოდო შელია- კოსტავას ქ.№30-ში, -238 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.
- 3) ლერი ჯოლია -არაგვის პირველის ქუჩა-457 კვ.მ.მიწის ნაკვეთი.
- 4) თენგიზ სოლომონია -კუნძულ კოლუმბარზე -356 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.
- 5) სიჭინავა თალიკო - კუნძულ კოლუმბარზე -1002 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

“ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, განმცხადებლების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

პერიოდულად ვხვდებოდი ამომრჩევლებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

თამაზ სოსელია